



# აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:

[gaas.georgia@dsl.ge](mailto:gaas.georgia@dsl.ge)

ვებ-საიტი:

[www.academy-as-georgia.dsl.ge](http://www.academy-as-georgia.dsl.ge)

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

ტ. 2 91 03 90

*სვალე აბ უნდა ჭკავეღს დღუჯანდღუს, თუ ჯცეს პბთგტრესი,  
წინსულა ადამიანისა თუქ: სიფყუად აბ მიანჩნია  
ილია ჩავქავაძე*

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავის საქმიანობას წარმართავს აკადემიის წესდების შესაბამისად ჩამოყალიბებული სამუშაო გეგმის მიხედვით. აკადემიური საბჭოს სხდომა ტარდება ყოველთვიურად (კვარტალში სამი გეგმიური სხდომა) და იხილავს აგრარული მეცნიერების აქტუალურ საკითხებს, თანამედროვე მდგომარეობას, სადღეისო ამოცანებს, განვითარების პერსპექტივებს და სხვ. გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ეთმობა ყურადღება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

## აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 26 ივლისს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რევაზ ჯაბნაძის მოხსენება „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“.

აღინიშნა, რომ თავისი ნიადაგურ-კლიმატური და სხვა ეკოლოგიური ფაქტორების შეთანაწყობის თავისებურებით საქართველო უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენს აგრარული სფეროს აღორძინებისათვის და ასეთი ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები იძლევა საშუალებას მრავალდარგოვანი და მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნისათვის, როგორცაა: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა და სხვა კულტურების წარმოება: დაფნა, კივი, თხილი, სიმინდი, სტევია, ბარამბო, ბრინჯი, წიწიბურა და სხვა.

ჩაის დარგი ქვეყანაში გადაშენების პირას მივიდა, მისი აღდგენის ერთადერთ პრიორიტეტულ ფორმად ფერმერული მეურნეობების ორ-

განიზაცია მიგვაჩნია. ამისათვის საჭიროა თითოეული ფერმერისათვის 3-5 ჰა ჩაის პლანტაციების იჯარის წესით გადაცემა. ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით ჰექტრიდან 2,5-3 ტონახარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება და 2-2,5 ტონა პროდუქციის წარმოება.

აუცილებელია სუბსიდიების გარკვეული ნაწილის გამოყენება მეცნიერული კვლევის დასაფინანსებლად, რათა შესაძლებელი გახდეს მეჩაიეობის კლასიკური შედარებით ჩვენი ჩამორჩენის აღმოფხვრა ისეთი ტექნოლოგიების დამუშავების გზით, როგორცაა ცივ წყალში ხსნადი ჩაის წარმოება, რომელზეც ბუშია ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ჩაის დაბალ ტემპერატურაზე დამუშავების

კომბინირებული ტექნოლოგიების დანერგვა, ჩაის ამოსაძირკვი ტექნიკის შექმნა, რომელსაც გვერდს ვერ აფუვლით, თუ რაციონალური მეჩაიეობის განვითარების გზას დავადგებით.

ვეერდნობით რა აგრარიკოს მეცნიერთა მრავალწლიან გამოკვლევებს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართ, სუბტროპიკული ზონის ნიადაგურ-კლიმატური მახვენებლების გათვალისწინებით, გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებს ვთავაზობთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაშენიანების სანიშნო სქემას, სადაც წარმოდგენილია პირობითად სამი ზონა: პირველ ზონად მიგვანჩნია მეციტრუსეობის და მეჩაიეობის ის რაიონები, რომლებიც ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ზოლშია განლაგებული, სადაც ციტრუსოვანთა კულტივირება ღია გრუნტში გარანტირებულია. მეორე ზონად – შავი ზღვის სანაპიროდან დაცილებული რეგიონები, სადაც ძირითადად წარმოდგენილია მეჩაიეობა, თუმცა მიკროკლიმატური ფაქტორების შედეგად შესაძლებელია ღია გრუნტში ზოგიერთი შედარებით ყინვაგამძლე ციტრუსოვანი კულტურების სამრეწველო კულტივირებაც. მესამე ზონად მიჩნეულია ტიპური მეჩაიეობის რაიონები, სადაც შეუძლებელია ციტრუსოვანთა წარმოება სამრეწველო დანიშნულებით.

კულტურათა განაშენიანებით მოდელი გლეხს, ფერმერს საშუალებას მისცემს მთელი წლის განმავლობაში აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, არ მოაცდინოს მუშახელი და უზრუნველყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების სტაბილური გაუმჯობესება.

გასათვალისწინებელია, რომ სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობისათვის ახალი ფართობების ათვისების რეზერვი ამოწურულია და დარგის განვითარება, ძირითადად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებზეა დამოკიდებული. დარგის რენტაბელობის დონის ამაღლება უნდა მოხდეს ბიოლოგიურად მობერებულ (ამორტიზირებული) ხეების შეცვლით, პროგრესული აგროტექნიკის, სწორი ორგანიზატორული და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით, სანერგეების მოწყობით, უხვად და რეგულარულად მსხმოიარე ჯიშების გამოყვანით და მათი ელიტური ნერგებით ახალი პლანტაციების გაშენებით.

ამ პრობლემის გადაწყვეტით აუცილებელია სადედე ბაღებისა და ახალი სანერგეების მოწყობა. უნდა ვეცადოთ, მივიღოთ მაღალხარისხოვანი სტანდარტული კალმები, რისთვისაც განსაკუთრებული პირობებია საჭირო: კერძოდ, ნიადაგის აგროწესებით განოყიერება, ნორმალური ტენის, ტემპერატურის, ჰაერაციის, ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველყოფილობის უზრუნველყოფა და ა.შ.

ციტრუსოვნების ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანის და წარმოებაში დანერგვის მხრივ სხვა ქვეყნებმა საგრძნობლად გავისწორეს. ისევე როგორც სხვა დარგებში. ჩვენთან ეს პროცესი ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური

სირთულეების გამო ჩამორჩა. მისასაღმებელია, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ქვეყნიდან შექმნილი და ჩამოტანილია ციტრუსოვანთა ნერგები: მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის და პომელოს 5 სახეობის 50 ჯიშის ციტრუსოვანთა სანერგე მასალა. აქედან 14 ჯიშში მანდარინია. ისინი დააპიკირეს ჩაქვის სანერგე მეურნეობის კვალსათბურებში, გამოაზამთრეს და სწორედ ახლა გადაიტანეს სადედე ნაკვეთზე. აქ გაშენებული ნარგავებიდან აიღებენ სანამყენე კვრტებს ციტრუსოვანთა ნერგების მასობრივი წარმოებისათვის.

მეციტრუსეობის დარგში არსებული მდგომარეობის გამოსწორება და არსებული პირობების მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სერვისული მომსახურების შექმნით, რაც გულისხმობს: მანებელ-დაავადებათა დიაგნოსტიკას, მის კვალობაზე პრეპარატების სახეობის და რაოდენობის, წამლობათა ვადების, ჯერადობების, კონცენტრაციების, სამუშაო ხსნარების მოცულობებისა და ლოდინის პერიოდის ზუსტ განსაზღვრას, საჭიროების მიხედვით ნიადაგის ნიმუშების აღებას და ქიმიური შედეგების განსაზღვრას, რეკომენდაციების საფუძველზე აგროქიმიკატებით ნიადაგის განოყიერებას, წამლობათა მაღალეფექტურად და ხარისხიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად თანამედროვე დისპერსიული შემასხურებელი ტექნიკის შექმნას და გამოყენებას.

ციტრუსოვანთა რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების საფუძველთა საფუძველია ფერმერთა რეორგანიზაცია და გაერთიანება კოოპერატიული ან სააქციო საზოგადოების ურთიერთობის საფუძველზე, რომელთა კლასიკური მაგალითების შესახებ მიგვითითებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება.

აღმოჩნდა, რომ აჭარის აგროსექტორში მუშაობს შეიდი საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. თუმცა, მათი პროგრამებით დიდი გარდატეხა აჭარის აგროსექტორში ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა. სამაგიეროდ მისასაღმებელია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივა – “აგროსერვისცენტრების” შექმნა, რომელიც სამი მიმართულებით მუშაობს. ესაა, ფერმერთა სწავლება-კონსულტირება, სანერგე მეურნეობების მოწყობა-განვითარება და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის აღდგენა-განვითარება, ასევე, შპს “ვეტერინარის” შექმნა, რომელიც მოემსახურება აჭარის მეცხოველეობას.

აჭარის აგროსექტორის შესაძლებლობები გაცილებით დიდი და მრავალფეროვანია, რასაც მეტად უნდა დაეინტერესებინა ინვესტორები. ამჯერად გამოვეყოფთ მთავარს – სხვადასხვა ქვეყანასთან ხელსაყრელ სავაჭრო რეჟიმებს. შეღავათიან ვაჭრობის სისტემას ვეროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-თან და ზოგიერთ სხვა ქვეყნებთან. იაფი ნედლეული და მუშახელი, ხელსაყრელი ნიადაგობრივ კლიმატური პირობები, ინვესტიციების განხორციელების პრიორიტეტულობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

### სეტყვა, მასთან ბრძოლის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 30 აგვისტოს მოისმინა აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძის, აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის მოხსენება „სეტყვა, მასთან ბრძოლის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები.“

აღინიშნა, რომ ადამიანის საცხოვრებელი გარემოს იდეოლოგია, სხვა მრავალ საცხოვრის პირობებთან ერთად, სტიქიურ მოვლენებისაგან დაცვასა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას გულისხმობს, რომლებიც ხასიათდებიან განსხვავებული სივრცობრივი, დროითი მასშტაბებითა და ა.შ. და ზოგადად სამ ტიპად იყოფა: ამინდის პირობებთან არაპირდაპირ კავშირში მყოფნი (მეწვერები, ზვავები, ტყის ხანძრები, ეპიდემიები და სხვ.); უშუალოდ ამინდის პირობებთან არიან დაკავშირებული, მაგრამ გარკვეული გეოგრაფიული მოვლენებით განპირობებული (მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები, ცუნამი); უშუალოდ ამინდის პირობებით გამოწვეულნი (ქარიშხლები, გვალვები, წყალდიდობები, ციკლონები, ცხელი და ცივი ამინდის ტალღები, სეტყვა და სხვ.).

სტიქიური მოვლენებით მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკისადმი მიყენებული ზიანის და დისკომფორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ამ მოვლენებისაგან დაცვის ან მისი შემცირებისათვის ოპერატიულად განხორციელებული ღონისძიებების უქონლობა, ამ მოვლენებისადმი მათი არასაკმარისი ინფორმირებულობა და მათთვის სათანადო რეკომენდაციების უკმარისობა, ცალკეული მოვლენებისადმი ბრძოლის არასათანადო სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ ყოფილა. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ და პრაქტიკაში გამოყენების მსოფლიო დონეს.

სოფლის მეურნეობისათვის, ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სტიქიურ მოვლენას, წარმოადგენს სეტყვა, რომელიც ძირითადად მექანიკურად აზიანებს მცენარეთა ვეგეტატიურ ნაწილებს, ყვავილებს, ნაყოფებს. მასთან ერთად, სეტყვით დაზიანებულ მცენარეებზე ხშირად ვითარდება მავნებლები და დაავადებები, რომლებიც საჭიროებენ მეტი რაოდენობით შრომით და მატერიალურ დანახარჯებს. იგი ჩვეულებრივი მოვლენაა წლის თბილი პერიოდისათვის. მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მონაცემებით, სეტყვისაგან გამოწვეული ზარალი, ძირითადად ლოკალიზდება დედამიწის ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროების მთიან და მთისწინა რაიონებში. ამ სტიქიურ მოვ-

ლენისაგან ყოველწლიურად ნადგურდება მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, 3-5 პროცენტადან 30-50 პროცენტამდე.

სეტყვიანობის სიხშირისა და ინტენსივობის მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კახეთს, ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია დედამიწაზე.

სეტყვა ძირითადად მოდის მაისსა და ივნისში, თუმცა არც თუ იშვიათად არის შემთხვევები, როცა სეტყვა სიმწიფეში შესულ მცენარეებსაც აზიანებს.

ასე, მაგალითად მ.წ. 14 მაისს მოსული ძლიერი სეტყვის შედეგად გურჯაანის რაიონის სოფლებში კარდანახში, ბაკურციხეში, კოლაგში, ვეჯინში, და ჭანდარში მოსავალი 70-80 პროცენტით გაანადგურა. მრავალწლიანი კულტურები დაზიანდა 2000 ჰექტარზე, ხოლო ერთწლიანები 435 ჰექტარზე.

ბოლო ინფორმაციით, ძლიერმა სეტყვამ მ.წ. 30 ივლისს სიმინდის, ბოსტნეულის და საზამთროს ნათესები თითქმის მთლიანად გაანადგურა ლაგოდეხში, 31 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელი არაშენდა მნიშვნელოვნად დააზარალა, ხოლო 8 და 9 აგვისტოს მოსავალი განადგურდა საგარეჯოს რაიონის სოფლებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა ეს პრობლემა არახალია და მასთან ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით მეტად აქტუალურია.

სეტყვისაგან გამოწვეულმა ზარალმა განაპირობა ამ სტიქიისაგან დაცვის ყველა შესაძლო მეთოდისა და საშუალების ძიება და განვითარება.

დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვისაგან დაცვისა და სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების ორი სახის მეთოდია ცნობილი:

1. სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდი – სეტყვის ღრუბლების ქიმიური რეაგენტების შეტანა (იოდოვანი ვერცხლი ან იოდოვანი ტყვია).

2. სასოფლო-სამეურნეო საგარეულების გადახურვა სხვადასხვა სახის (ძირითადად პოლიეთილენის) ბადეებით.

პირველი მეთოდისას ღრუბლებში რეაგენტების შეტანა ხორციელდება ორი გზით:

ა) თვითმფრინავიდან შეტანა ღრუბლების

თავზე რეაგენტის მობნევით;  
ბ) რაკეტების ქობინებში რეაგენტის მოთავსებით და მათი ღრუბლებში გაფანტვით.

ორივე აღნიშნული მეთოდი საკმაოდ ეფექტურია და წარმატებით შეიძლება მათი გამოყენება სეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო ნათესებისა და პლანტაციების დიდ ფართობზე დასაცავად.

მეორე შემთხვევაში – სას. სამ. მიწის ფართობი (ძირითადად ვენახი, ბაღი და სხვა) გადაიფარება სპეციალური კონსტრუქციის საყრდენებზე გადაჭიმული პოლიეთილენის ბადით.

სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდების კვლევა, საქართველოში პირველად გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებში დაიწყო. ქართველი მეცნიერების მიერ, კერძოდ ალაზნის ველზე დაზუსტდა მეცნიერთა ცოდნა სეტყვის წარმოქმნის მექანიზმის შესახებ, შემუშავდა სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების ფიზიკური საფუძვლები, გაუმჯობესდა სეტყვის მოგვინათა პროგნოზის მეთოდიკა, შეიქმნა აქტიური შენაერთები, ღრუბლების ხელოვნური კრისტალიზაციისათვის, შემუშავდა და იყენებენ ღრუბლებში ქიმიურ ნივთიერებათა მიტანის სხვადასხვა საშუალებებს და სხვ.

აღნიშნული კვლევების საფუძველზე შეიქმნა სეტყვასთან ბრძოლის მეთოდი, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: მეტეოლოკატორი აღმოაჩინეს სავარაუდო სეტყვის ღრუბელს 3-10 კმ-ის დისტანციაზე და გასაშვები მოწყობილობით ესვრიან სპეციალურ (აღრე “ობლაკოს” ტიპის) რაკეტებს. როგორც კი ღრუბლებში შეიჭრება, რაკეტის თავიდან გამოიტყორცნება მაკრისტალიზებელი რეაგენტი (იოდოვანი ვერცხლი, იოდოვანი ტყვია), რომელთაც ახასიათებთ, გადამეტცივებული წყლის წვეთების კრისტალიზაციის, განსაკუთრებით მაღალი თვისებები. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერთა და ინჟინერთა ერთობლივი მუშაობის შედეგად, შეიქმნა სეტყვის საწინააღმდეგო სრულად ახალი კონსტრუქციის რაკეტა. ცდებმა, რომელიც ალაზნის ველზე მოეწყო, ცხადყვეს, რომ ეს რაკეტა თავისი ტექნიკური მონაცემებითა და ეფექტიანობით, მნიშვნელოვნად სჯობდა სეტყვის ღრუბლებზე ზემოქმედების იმ საშუალებებს, რომლებსაც საზღვარგარეთ იყენებენ.

უფრო მოგვიანებით შესამჩნევად გაუმჯობესდა ეს რაკეტები, აგრეთვე შეიქმნა ახალი, უფრო მძლავრი რეაქტიული ჭურვები “ალაზანი”.

1958-1960 წლებში, ალაზნის ველზე განხორციელდა ათობით ცდა, რომლებიც საშუალებას იძლეოდა, შემუშავებულიყო სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების ახალი მეთოდიკა და ტექნიკური საშუალებები.

აღსანიშნავია ამ მხრივ, ქართველ გეოფიზი-

კოს მეცნიერთა გამოკვლევები და პრაქტიკული საქმიანობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში (კ. სულაქველიძე, ა. ქარცივიძე და სხვები) და ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში (ვ. ლომინაძე, ბ. ბერიტაშვილი და სხვები), დამუშავდა სეტყვასთან ბრძოლის ორიგინალური მეთოდები, რომელთა გამოყენებით გასული საუკუნის 70-80-იან წლებში წარმატებით ხორციელდებოდა ვენახებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, სეტყვისაგან დაცვის სამუშაოები. ასე, მაგალითად კახეთისა და ქართლის რაიონებში იგი 400 ათას ჰექტარზე ჩატარდა.

დაგროვილი გამოცდილებისა და ამ საქმიანობის გააქტიურების მიზნით 1961 წელს, საქართველოში შეიქმნა სეტყვის საწინააღმდეგო სპეციალური სამსახური, ხოლო მომდევნო წლებში, ამ საქმიანობის საკოორდინაციო ოპერატიული შტაბი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერები და სხვ. ამ შტაბის წევრი ვიყავი მეც, როგორც ცკ-ის წარმომადგენელი, სადაც ვხელმძღვანელობდი სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებს. ამდენად, ხშირად მიხდებოდა ადგილებზე ყოფნა – სარაკეტო პუნქტებზე, პოლიგონებზე, მეურნეობებში, ვენახის ზვრებში და სხვ. ბევრჯერ მინახავს ერთ მოსვლაზე, როგორ გაუნადგურებია სეტყვას დასაკრეფად გამზადებული ყურძნის მთელი მოსავალი, მინახავს ამ საცოდაობისაგან გამწარებული და ატირებული გლეხი. მინახავს მისი ლოცვა-ვედრებით აღსავსე თვალები, ჯიქურ მიპყრობილი საავდროდ პირგამხეხებული ცისკენ. რომელი ერთი გავიხსენო. ერთი რამ ცხადია ამ სამსახურმა თითქმის 20 წელი იარსება, ბევრი კარგი საქმეც გააკეთა, მაგრამ საბოლოოდ ვერ გამოინახა სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების ისეთი მეთოდი და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც ამ პროცესის დაძლევის აბსოლუტურ გარანტიას იძლეოდა (დროული პროგნოზირება, დროულად ზემოქმედება, ოპერატიული ორგანიზაცია და სხვ.). ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დროსაც და ზემოქმედების ადგილსაც, რადგან ღრუბელს თავისი სპეციფიკა აქვს – თუ კრისტალიზაცია მოასწრო, მერე უკვე ვეღარაფერი უშველის, ამიტომ სეტყვის წინააღმდეგ სინოპტიკური სამსახურებისა და ამ სისტემის ერთობლივი და გამართული საქმიანობაა საჭირო, რომელიც ზუსტად უნდა იყოს შერწყმული ამინდის პროგნოზთან.

თანამედროვე ევროპაში, უპირატესობას ანიჭებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის მეორე მეთოდს, ე.წ. ბადეების სისტემას. აღნიშნული სისტემის შესასწავლად, ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში, იტალიაში, სადაც ამ მეთოდმა ფართე გავრცელება ჰპოვა, მივლინებული იყვნენ

ქართველი სპეციალისტები (ფ. დულაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი და მ. გერიტიშვილი), რომლებიც ადგილზე გაეცნენ არსებულ მდგომარეობას და შეიმუშავეს სათანადო რეკომენდაციები.

იტალიაში, ბაღ-ვენახების გადახურვა პოლიმერული ბადით ფართოდ გამოიყენებოდა მაგალითად, ლომბარდის ველზე მდინარე ვერონის აუზში. სიცილიაზე, კატანიის რაიონში, სეტყვისაგან ბადეებით იცავდნენ ციტრუსებისა და ხეხილის სანერგეებს. იტალიაში შექმნილი იყო სპეციალური ფირმა “აგრინოვა”, რომელსაც დამუშავებული ჰქონდა პოლიმერული ბადეებით გადახურვის ტექნოლოგიები და ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა ბაღ-ვენახების სეტყვისაგან დაცვას იტალიის გარეთაც – ავსტრიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და ესპანეთში.

ნაკვეთების გადასახურავად გამოიყენება სხვადასხვა სახის პოლიმერული ბადეები, რომელთა უჯრედების ზომებია 4x8 ან 4x6 მმ, კაპრონის ძაფის სისქე – 0, 28 მმ. ბადეების გამძლეობა 10-12 წელი (შავი ფერის ბადეები) და 7-8 წელი თეთრი ფერის ბადეებისათვის. ისინი კარგად ატარებს მზეს, ამასთან ეწინააღმდეგება ნებისმიერი ტიპის ნალექს, მათ შორის დიდ წვიმასაც.

ბადეები გაჭიმულია 4,6–6 მ. სიგრძის რკინა-ბეტონის ბოძებზე 12-14 მმ სისქის ლითონის მავთულების საშუალებით. არსებობს მექანიკური და არამექანიკური ბადეები. მექანიკური ამინდის გაფუჭებისთანავე იშლება და ნარგავებს ეფარება, არამექანიკური კი მუდმივად გაშლილია. ამასთან ეს მეთოდი მთლიანად უნდა იყოს ავტომატიზებული.

სეტყვისაგან ვენახების დასაცავად, პოლიმერული ბადეებით გადახურვა საქართველოში დაიწყო 1975 წლიდან. თავდაპირველად ამ სამუშაოებს ჰქონდა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი. მათ აწარმოებდა საქართველოს მეზღვაობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1980 წლისათვის, პოლიმერული ბადეებით გადახურული ვენახების ფართობმა შეადგინა 50 ჰა.

ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად დადგინდა იქნა, რომ გარდა სეტყვისაგან დაცვისა, ბადეებით გადახურვა აუმჯობესებს ნარგავობის მიკროკლიმატურ პირობებს. მზის რადიაციული რეჟიმის გაუმჯობესების ხარჯზე, იზრდება მცენარეთა ფოტოსინთეზი, ინტენსივობა და პროდუქტიულობა, 10-15 %-ით იზრდება მოსავლიანობა და სხვ.

სულ ახლახან, სოფელ ჯიდაურში ვახისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ტერიტორიაზე, დამონტაჟდა საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის (ნ. წიგნაძე) მიერ, დამუშავებული “ბადური დაფარვის” სისტემა, რომელიც ადრე არსებულ სისტემასთან შედარებით გამოირჩევა

დაცვის საიმედოობით, სიმარტივითა და ექსპლოატაციის ხანგრძლივობით. ამასთან, როგორც ადრე არსებული სისტემები, იგი ფინანსურად მეტ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და მნიშვნელოვნად ძვირია.

მთლიანობაში თუ განვიხილავთ, დადებით მხარეებსა და უპირატესობებთან ერთად, ამ მეთოდს გააჩნია მთელი რიგი ხარვეზები: საქართველოში დამზადებული ბადის საგარანტიო ვადა არ აღემატება 3-4 წელს. საყრდენების კონსტრუქციები მოითხოვს სრულყოფას, აუცილებელია ავტომატიზირებული სისტემების გამარტივება და დახვეწა, ძალიან ძვირია თავად მეთოდი და სხვა.

ერთი რამ ცხადია – ხელოვნური ჩარევა უეჭველია ხელს უწყობს სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლას. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ახლა საჭირო და აუცილებელია უფრო შეთანხმებულად წარმოებდეს ჩვენი მეცნიერების მუშაობა, გაუმჯობესდეს სეტყვის მოვლენათა პროგნოზის მეთოდიკა, დამუშავდეს ავტომატიზირებული სისტემები, რაც ავტომატურად მოახდენს სეტყვის საწინააღმდეგო გასროლას, დაიხვეწოს სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების ტექნიკური საშუალებანი და ხერხები. მოხდეს ამ ტექნიკის მოდერნიზება, კრიტიკულად უნდა გადაისინჯოს განხორციელებული მუშაობა და დაისახოს სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ოპერატიულობის გაძლიერების გზები. სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფას. ახლა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების წინაშე ისახება გადიდებული მოთხოვნები – გააუმჯობესონ თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა. უფრო ფართოდ გაშალონ სეტყვის ღრუბლებზე ზემოქმედების ახალი, უფრო ეფექტური რეაგენტების ძიება, შეიმუშაონ დასეტყვისაგან დაცვის უფრო სრულყოფილი მეთოდები, საჭიროა შესაბამისი სადაზღვევო ინფრასტრუქტურის არსებობა და სხვა.

აუცილებელია, სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების განახლება და გაძლიერება, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების აღდგენა და რეაბილიტაცია, სახელმწიფოს მხრიდან მეტი დაინტერესება და დახმარება, სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის აღდგენა და ა.შ. ამ მიმართებით დამამიჯნებელია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (არა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ) სულ ახლახანს, განიხილა საკითხი სეტყვის საწინააღმდეგო ეროვნული სისტემის რეაბილიტაციის შესახებ. ახლო მომავალში მიღებული იქნება შესაბამისად წარმოდგენილი პროექტი თავისი ფინანსური გაანგარიშებით.

## ხეხილის ინტროდუქცია საქართველოში - ისტორია, არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 30 აგვისტოს მოსმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვაჟა კვალაიაშვილისა და აკადემიური დოქტორის ზვიად ბობოქაშვილის მოხსენება „ხეხილის ინტროდუქცია საქართველოში - ისტორია, არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებები „

აღინიშნა, რომ მეცნიერული კვლევების შედეგად დადასტურებულია, რომ საქართველო ხეხილის წარმოშობისა და მოშინაურების (დომესტიკაციის) მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს. ჩვენი ქვეყანა მიჩნეულია ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ტყემლის, თხილის, ზღმარტლის, მაცვლის და სხვა მნიშვნელოვანი ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურების წარმოშობისა და მოშინაურების ერთ-ერთ კერად. უმდიდრესია საქართველოს ხეხილის ადგილობრივი გენოფონდი, რომლის მრავალფეროვნებას განაპირობებს ჩვენი ქვეყნის უნიკალური ეკოლოგიური პირობები.

მიუხედავად, ადგილობრივი ხეხილოვანი რესურსების გამოყენების დიდი გამოცდილებისა, სახეობების, ქვესახეობების, ჯიშების გაცვლას და შემოტანაკლიმატიზაციას ჩვენს ქვეყანაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს - მსოფლიოში ხეხილოვანი კულტურების ჯიშების ინტროდუქციის დაწყების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება დიდი აბრეშუმის გზის დაარსება ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მეორე საუკუნეში, რომლის ერთ-ერთი მარშრუტიც საქართველოზე გადიოდა.

ჩვენს ქვეყანაში ჯიშების შემოტანისა და გამოცდის მიზანმიმართული სამუშაოები წამოწყებულ იქნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჯიშების მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა საზღვარგარეთის სანერგეებიდან (საფრანგეთი, გერმანია, ყირიმი) ნერგებისა და კალმების მიღება გასამრავლებლად. ამ დროისთვის საქართველოში დაარსდა სანიმუშო ხეხილის ბაღები და სანერგეები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში: ისაია ფურცელაძის მიერ - იმერეთში, კეცხოველის მიერ - ტყვიავში, ხეთაგურის მიერ - კასპში, ფრიდონოვების და ავსარქისოვების მიერ - სკრაში და სხვა. ამ სანერგეებს გამოჰყავდა ხეხილის ძირითადი სახეობების, როგორც ადგილობრივი, ასევე ინტროდუცირებული ჯიშების ნერგი და აწვდიდა მოსახლეობას. 1901 წელს ისაია ფურცელაძემ მერეთში გააშენა ბაღი, სადაც 200-ზე მეტი ჯიშის ხეხილი იყო თავმოყრილი. აღნიშნული ბაღი პომოლოგიური ხასიათის იყო და განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა როგორც ხილის წარმოების პოპულარიზაციის შესანიშნავ საშუალებას, თუმცა ამ დროისათვის სამეცნიერო კვლევებს ჯიშების სრულყოფილი შესწავლის მიმართულებით შემთხვევითი და ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა.

საქართველოში ხეხილის ჯიშების ინტროდუქცია, გამოცდა და შეფასება მეცნიერულ დონეზე იწყება მეოცე საუკუნის 20-30 -იანი წლებიდან როდესაც

შეიქმნა მეხილეობის პროფილის კვლევითი დაწესებულებები - სკრის მეხილეობის ზონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საცდელი სადგურები, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჯიშთა გამოცდის სტრუქტურა და სხვა.

უკვე 1966 წლების მონაცემებით, ჯიშთა გამოცდის ქსელში იცდებოდა ხეხილის, როგორც ადგილობრივი, ასევე ინტროდუცირებული ჯიშები, რომელთა რაოდენობა 429 ჯიშს აღწევდა.

1993 წლის მონაცემებით მებაღეობის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მხოლოდ გალავნის მეურნეობის კოლექციის ინტროდუცირებული ჯიშების ნუსხაში მოცემული იყო 260-ზე მეტი სხვადასხვა ხეხილოვანი კულტურების ჯიშები, რომელთა ძირითადი ნაწილი შემოტანილი იყო 80-იანი წლების დასაწყისში. ჯიშების კომპლექსური ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების შესწავლის საფუძველზე ხდებოდა რეკომენდებული ჯიშების სორტიმენტის დადგენა და რეკომენდება წარმოებისათვის. ინტროდუქციის მთავარ მეთოდოლოგიად გამოყენებული იყო კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების ანალოგების მეთოდი, ანუ იმ ჯიშების შემოტანა, რომელიც ეკოლოგიური პირობებით წააგავს საინტროდუქციო რეგიონის პირობებს.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლის შედეგად განვითარებული მოვლენების გამო ახალი ჯიშების შემოტანისა და გამოცდის პროცესი შეწყდა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე 1990 წლების მეორე ნახევრამდე, როდესაც აგრარული უნივერსიტეტის თაოსნობით (გ. ბარბაქაძე; მ. ვარძელაშვილი) უკრაინიდან გამოცდის მიზნით შემოტანილი იქნა ვაშლის წამყვანი ჯიშები (ჯონაგოლდი, ფუჯი, არლეტი, გალა, გოლდენ რეზისტენტი და სხვა).

XXI საუკუნის დასაწყისიდან გააქტიურდა საინტროდუქციო სამუშაოები ხეხილის სხვადასხვა ჯიშების შემოტანისა და შეფასების კუთხით, მებაღეობის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ინიციატივით და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (UN FAO, USAID, EU ) მხარდაჭერით ინტროდუცირებული იქნა ხეხილის 180-ზე მეტი ჯიშები და 20 -ზე მეტი საძირე, რომელიც გაშენდა სკრის და გორის კვლევითი სადგურების საკოლექციო ნაკვეთებზე, გორის მეხილეთა ასოციაციის ფართობებზე. შემოტანილი იქნა შემდეგი კულტურების ახალი და პერსპექტიული ჯიშები - ვაშლი, მსხალი, კომში, ატამი, ნექტარინი, ქლიავი, გარგარი, ბალი, ნუში, კაკალი, ჟოლო, ხურტკმელი, ლურჯი მოცვი, მოცხარი, მარწყვი და სხვა. კვლევითი სამუშაოები აღნიშნული ჯიშების

პირველადი შესწავლის მიზნით ხორციელდებოდა მებაღეობის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული კვლევების ფარგლებში.

2008 - 2012 წლებში ვაზისა და ხეხილის გამრავლების ეროვნული ცენტრის (საგურამო) ინიციატივით შემოტანილი იქნა ხეხილის სხვადასხვა კულტურების 220-ზე მეტი ახალი ჯიშის და კლონი, რომელიც გაშენდა 9,0 ჰა-ზე. 2010 წლიდან მიმდინარეობს სამუშაოები აღნიშნული ჯიშების პირველადი შესწავლისა და შეფასების მიზნით. გარდა ამისა, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ხეხილის მცირე საკოლექციო ნარგაობები კერძო ინიციატივით და განვითარების დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გაშენდა: გორში, ბებნისში, ჩუმლაყში, კასპში და სხვა.

ჯიშების შესწავლის ინტროდუქციული სამუ-

შაობის ეფექტიანობის ამაღლების, დახვეწის და სორტიმენტის გამდიდრებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება: რეგიონალური მნიშვნელობის ორი კვლევითი ცენტრის მოწყობა (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში) ხეხილის ჯიშების სრულფასოვანი გამოცდისა და შეფასებისათვის; მოხზობრივი საგრანტო სისტემის კომპონენტის დამატება რუსთაველის ეროვნულ ფონდში ჯიშების შესწავლის მიზნით; წარმოების რეგიონების მიხედვით ხეხილის გასაშენებლად რეკომენდებული ჯიშების სიის შემუშავება - მეთოდოლოგიის შედგენა, სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება; მონაცემთა ბაზის შექმნა შემოტანილი ჯიშების აღწერის, დოკუმენტაციისა და შეფასების მიზნით; საცნობარო სახის პუბლიკაციების დაბეჭდვის ორგანიზება.

### ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები შიდა მთიან აჭარაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 27 სექტემბერს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ღორჯომელაძის მოხსენება "ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები შიდა მთიან აჭარაში".

აღინიშნა, რომ აჭარა საქართველოს ის კუთხეა, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე ბუნების მრავალსახეობაა წარმოდგენილი. მაშინ, როცა მთები უკვე თოვლითაა დაფარული, ზღვისპირეთში რიგი მცენარეებისა ყვავის და ნარინჯოვანთა რთველი გრძელდება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ერთ-ერთი მცირემიწიანი რეგიონია, რომლის ფართობი შეადგენს 290000 ჰა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია მხოლოდ 26%. ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,2 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,02 ჰა სახნავი. გარდა მცირემიწიანობისა, აჭარა გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვითაც, აქ 1 კმ<sup>2</sup> საშუალოდ მოდის 126 ადამიანი.

სამეურნეო-გეოგრაფიული თვალსაზრისით აჭარაში გამოიყოფა ორი ძირითადი ზონა: შავი ზღვის სანაპირო მხარე (ქობულეთი, ბათუმი, ხელვაჩაური), რომელსაც უჭირავს ტერიტორიის დაახლოებით 40% და შიდა მთიანი აჭარა (ქედა, შუახევი, ხულო), მასზე მოდის საერთო ფართობის 60%. აჭარის ზონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რელიეფით, კლიმატური პირობებით, ნიადაგებით, მცენარეული საფარის ხასიათით, ასევე სხვა მახასიათებლებით.

აჭარა გამოირჩევა უხვნაღვქიანობით. ზღვისპირეთში ნალექების საშუალო მრავალწლიური რაოდენობა შეადგენს 2500-2600 მმ, ხოლო შიდა მთიანეთში რაიონების მიხედვით იგი მერყეობს 1050 მმ-დან 1900-2100 მმ-მდე.

აჭარის ტერიტორიაზე ზღვისპირეთიდან ვიდრე ალპურ ზონამდე თავმოყრილია ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონალობის ყველა სპექტრი, რაც სხვადასხვა მიმართულების სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო-რეკრეაციული დარგე-

ბის პერსპექტიული განვითარების საშუალებას იძლევა. მაგრამ, ამ დარგების მიზანდასახულ და გეგმაზომიერ მართვას ძლიერ უშლის ხელს ბუნების საშიში სტიქიური პროცესები: ნიადაგის ეროზია, წყალმოვარდნები და დატბორვა, მეწყერული და ღვარცოფული მოვლენები, თოვლის, მიწისა და კლდის ზვავები, ზღვის ნაპირების წარეცხვა და სხვ.

პრობლემის მასშტაბურობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მთის მცირე მდინარეები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ეროზიული და ღვარცოფული პოტენციალით, შეადგენენ მდინარეთა ქსელის საერთო მანქვენებლის 80%-ს და ამ ხეობებში თავმოყრილია მოსახლეობის 60%-ზე მეტი.

საკუთარი გამოკვლევების თანახმად, სახნავი მიწის 1 ჰა-ზე ერთი კატასტროფული წვიმის შედეგადაც კი შეიძლება ჩამორეცხოს 150-200 ტ ნიადაგი, ეს მანქვენებელი წლის მანძილზე შეიძლება გაიზარდოს 350-550 ტ-მდე და უფრო მეტადაც კი.

დღეისათვის საქართველოს გეოლოგიური სამსახურების მიერ, აჭარაში დაფიქსირებულია 300-ზე მეტი ახლად განვითარებული ან აქტივიზირებული მეწყერი, კლდეზვავი, ჩამონაცქევი, ღვარცოფი, თოვლის ზვავი და მდინარის ეროზიულ-აბრაზიული გარეცხვის უბანი. საშიში ბუნებრივი პროცესების აქტიური ზემოქმედების სფეროში აღმოჩნა 350-მდე დასახლებული პუნქტი და 5600-მდე ოჯახი; რეგიონში უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე 1600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაინგრა ან უვარგისი გახდა საცხოვრებლად, დაზიანდა მეურნეობის 400-მდე ობიექტი; განადგურდა 5000 ჰა-მდე სასოფლო-

სამეურნეო სავარგული, მწყობრიდან გამოვიდა რამოდენიმე ათეული კმ-ის სიგრძის სხვადასხვა დანიშნულების გზები.

აჭარაში მიწა შევიწროებას განიცდის ზღვიდანაც. ზღვა ყოველწლიურად ხმელეთიდან იტაცებს მიწის დიდ მასივებს. სპეციალისტების გაანგარიშებით, 30 მილიონ მ<sup>3</sup>-ზე მეტი ხრეში და ქვიშა, რომელიც სამეურნეო საქმიანობისათვის იქნა ამოღებული ბოლო 20-35 წლის მანძილზე, საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში ზღვის მიერ მიტაცებული 1000-ზე მეტი ჰა ნაყოფიერი მიწის ფასად გვიხის. მათივე გაანგარიშებით, აღნიშნულ პერიოდში აჭარის სანაპიროს მთელ რიგ ადგილებში წყალმა წარეცხა 200-600 მ სიფართის ხმელეთი (მათ შორის ბათუმის ბულვარი და ქობულეთის სანაპიროები).

აჭარა ხასიათდება საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი რელიეფით. უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია გორაკ-ბორცვებით და სხვადასხვა სიმაღლის მთებით, რომლებიც დანაწევრებულია ღრმა, ციცაბო კალთებიანი ხეობებით. ტერიტორია გამოირჩევა წვრილნაკვეთიანობითაც. აქ დაბლობებზე მოდის ფართობების მხოლოდ 5,3%, გორაკ-ბორცვებზე – 9,3%, წინამთებზე და მთებზე 85,4%. ტერიტორიის 80%-ზე მეტი 20<sup>0</sup>-ზე უფრო დიდ დახრილ ფერდობებს უკავია.

დინამიკაში თუ თვალს გადავაგვლებთ აჭარის მიწის ფონდის ძირითადად კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციას დაინახავთ, რომ მკვეთრად მატულობს ტყე-ბუჩქნარისა და საძოვარ-საბალახოების ქვეშ მყოფი ფართობები – მრავალწლოვანი კულტურების, სახნავი მიწებისა და სათიბების ქვეშ მყოფი ტერიტორიების შემცირების ხარჯზე.

უხვნაღვქიან, ციცაბო რელიეფიან და მცირემიწიან აჭარაში, სადაც ტერიტორიის 96% არის სხვადასხვა ხარისხით ეროზირებული, ძირითად პრობლემად კვლავაც რჩება ხსენებული სტიქიური და სხვა უბედურებებისაგან დაცვა, ამიტომაც, აქ სისხლხორცეულად აუცლებელი ხდება ნაყოფიერებადაკარგული ტერიტორიების აღდგენა-გაუმჯობესება და ადამიანთა სამსახურში კვლავ ჩაყენება, გარემოს ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება, მიწათმოქმედების კულტურის ამადლება, მიწის რაციონალური გამოყენების გზებისა და ხერხების ძიება-შემუშავება, მათი უცილობელი დანერგვა. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ამ მხრივ საუკეთესო გამოსავალია წარმოების რაციონალური ორგანიზაცია და მისი მეცნიერული უზრუნველყოფა, სამთო მიწათმოქმედებაში მეცნიერული სისტემების დანერგვა-განხორციელება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მიწის ნაყოფიერებისა და სავარგულების პროდუქტიულობის ამადლება, მიწათსარგებლობის სივრცობრივი თვისებებისა და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა. დროა მოვერიდოთ ისტორიულად პრაქტიკაში შეუმოწმებელ, არაადაპტირებულ და მეცნიერულად დაუსაბუთებელ ყოველ მოქმედებას.

აჭარის ზღვისპირეთის ტერიტორია ჩვენს ქვეყანაში ტიპიური სუბტროპიკული მეურნეობის მხარეა, ის უახლოეს წარსულში წარმოდგენილი

იყო მაღალგანვითარებული მეჩაიეობით, მეციტრუსეობით, მეხილეობით, მევენახეობით, მებოსტნეობით, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურებით, სამკურნალწამლო მცენარეულობით. მის მთიან რაიონებში კვლავაც დომინირებს ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო) წარმოება. აქ ნიადაგის დამუშავებას მისდევენ ისეთ ფერდობებზედაც, რომელთა დაქანების ზღვარი 40 – 45<sup>0</sup> –საც კი აღწევს, რასაც ცხადია არავითარი გამართლება არ მოეძებნება და სამეურნეო ღირებულება არ გააჩნია, (მით უმეტეს ერთწლიანი სათოხნი კულტურების ქვეშ). ასეთი ფართობები გამოყენებული უნდა იქნას არა სახნავ-სათესად, არამედ ნიადაგდამცველი ბალახოვანი საფარის, ასევე ნაყოფისმომცემი ხე და ბუჩქოვანი მცენარეების გასაშენებლად.

ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი (47204 ჰა ანუ მთლიანი ტერიტორიის 16,3 %) სათიბ-საძოვრებია, რომელთა პროდუქტიულობა და რაციონალურად გამოყენება მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა.

შიდამთიანი აჭარის ნიადაგების ეფექტური ნაყოფიერების ამადლებისათვის აუცილებელია ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალისა და ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის აჭარის საყრდენი პუნქტის მეცნიერ-მუშაკების (შ. გვაზავა, ო. ღორჯომელაძე, ი. ბერიძე, ნ. ბერიძე) მიერ შემუშავებული მეცნიერული წინადადებებისა და რეკომენდაციების კვლავაც დანერგვა, რომლებიც თავის დროზე ინერგებოდა წარმოებაში, მას სათანადო უკუგებაც ჰქონდა.

ამდენად, საერთოდ აჭარაში და განსაკუთრებით კი, მის შიდა მთიან ნაწილში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ზემოთ ხსენებული ნიადაგ-გერუნტის დამრღვევი სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, ნიადაგდამცავი ღონისძიებების და აგროწესებით გათვალისწინებული, ასევე ჩვენს მიერ შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციების მოთხოვნების დაცვას, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, წარმოების ინტენსიურობის ამადლებას, რამაც უნდა განაპირობოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და ყოველი ჰა მიწის უკუგების მკვეთრი გადიდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე მიწის რაციონალურად გამოყენების აქტუალურ საკითხებად გვესახება შემდეგი:

მრავალი წლის მანძილზე წარმოებული სტაციონარული, საველე, ლიზიმეტრული, ლაბორატორიული და საწარმოო ცდებითა და კვლევადიების საფუძველზე შედგენილი რეკომენდაციების მოთხოვნათა გათვალისწინება და ამის შესაბამისად ნიადაგდამცავი სამთო მიწათმოქმედების სისტემების დანერგვა. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-ამადლება, მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, დაცვა ეროზიული, მეწყერული და სხვა უარყოფითი მოვლენებისაგან, დარღვეული ფართობების რეკულტივაცია, მიწების მედიორა-



ცია, ქიმიზაცია, კომპლექსური სამთო მექანიზაცია, ნიდაგის განოყიერებისა და კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროწესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უცილობელი დაცვა და ა.შ. რაც მოგვცემს საშუალებას იმისას, რომ ე.წ. მიგდებულ-მიტოვებული და ეროზირებული მიწები კვლავ ჩავრთოთ სასოფლო-სამეურნეო (აღამიანთა სასარგებლო) ბრუნვაში, ამით კი სოფელს დავუბრუნებთ იმ ტრადიციულ და ისტორიულ მისიას, როდესაც სოფელი მის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და სურსათით იკმაყოფილებდა საკუთარ თავსაც და ნამეტი (ჭარბი) პროდუქცია გასაყიდად თუ ბარტერზე გასაცვლელად გაჰქონდა სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში.

ნებთ იმ ტრადიციულ და ისტორიულ მისიას, როდესაც სოფელი მის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და სურსათით იკმაყოფილებდა საკუთარ თავსაც და ნამეტი (ჭარბი) პროდუქცია გასაყიდად თუ ბარტერზე გასაცვლელად გაჰქონდა სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში.

### მევენახეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიმდინარე წლის 27 სექტემბერს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნოდარ ჩხარტიშვილის მოხსენება “მევენახეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.”

აღინიშნა, რომ ქვეყანაში განხორციელებული გარდაუვალ და მეტად სასურველ რეფორმებს, განსაკუთრებით მიწის პრივატიზაციის პროცესს, პირველ ეტაპზე თან ახლდა მოუმზადებელი, ნაქარვეი ნაბიჯები, რამაც მძიმე დაღი დაასვა აგრარულ სექტორს, მათ შორის მევენახეობას.

ამ პერიოდის მძიმე დაღი დღემდე მოყვება თანამედროვე მევენახეობას, რომლის უპირველესი მაჩვენებელი, სამრეწველო ვენახის ფართობი აღწერით 37 419 ათას ჰექტარამდეა შენარჩუნებული, რაც 1980-1990 წლების საკარმიდამო ვენახების ფართობზე ნაკლებია, და უტოლდება 1921 წლის მაჩვენებლებს, რაც შესაბამისად აისახება ქვეყანაში წარმოებული ყურძნის რაოდენობაში. კერძოდ, 1990 წელს ღვინის ქარხნების მიერ 433 ათასი ტონა ყურძენი გადაამუშავდა, 2003 წელს მან მხოლოდ 19.5 ათასი ტონა შეადგინა (22.2-ჯერ ნაკლები); შესაბამისად ქვეყანაში ამ წლებში დამზადდა 16 183 ათასიდან 2 414 ათასი დეკალიტრი ღვინო და ღვინის მასალა. შესაბამისად შემცირდა ცქრიალა (შამპანური) ღვინოებისა და კონიაკის წარმოებაც. უარყოფითი შედეგი დღემდე გრძელდება – ბოლო წლებში ქვეყანაში წარმოებული ყურძნის რაოდენობა 100-150 ათას ტონას არ აღემატება. ძირითადად მსხვილი კომპანიების მონაწილეობით, რაც შორს არის შესაძლებლობის ფარგლებიდან. გლეხურ – ოჯახური მევენახეობა (ისე როგორც სხვა მიმართულებები) უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ქვეყანაში შიდა პოლიტიკური სტაბილურობის (1995-1998 წწ) დასაწყისიდანვე აგროსამრეწველო სექტორში უპირველესად აღდგენითი პროცესები მევენახეობა – მეღვინეობით დაიწყო. ისტორია მეორდება. გლეხი დაუბრუნდა ვენახს, განახლდა მიტოვებული ვენახების მოვლა – პატრონობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია; გაჩნდა ახალი ვენახების გაშენების მსურველები; გამოჩნდნენ ნამყენი ნერვის მწარმოებლებიც – გლეხური მეურნეობის პირობებში, რაც მოცემულ ეტაპზე მხარდაჭერილი და წახალისებული იქნა. ნამყენი ნერვის დევიციტის გამო მოისინჯა ვენახის გაშენება (ყვარელში – საფერავი) საკუთარ ფესვზე – რქით, რაც დასაწყისშივე აიკრძალა, როგორც უპერსპექტივო და იგი შეწყდა. გამოჩნდნენ სამრეწველო მასშტაბით ნერვის მწარმოებლები: კახეთში: კონდოლში, ყვარელში, თელავში, კისისხევში, ქართლში – მცხეთა, იმერეთში – სვირის სანერგე. მაღალი კატეგორიის ნამყენი ნერვი შემოტანილი იქნა უცხოეთიდანაც; კერძოდ, თელავში, წინანდლის მიკროხონაში ნინო ანანიავილის მამულში, რამაც რა თქმა უნდა სასურველი შედეგი გამოიღო.

განახლდა არსებული ღვინის ქარხნები, მოხდა მარნების აღდგენა-რეკონსტრუქცია. დაიწყო ახალი ქარხნების მშენებლობა, რომლებიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ტექნოლოგიური სახებით, კერძოდ: კახეთში: “თელავის მარანი”, “ჯვს”, ყვარელში: “ვახის ცრემლები”, “ქინძმარაული”, “საქართველოს მარანი”, ქართლში – “შატოს მუხრანი”, იმერეთში – “ხარება”, რაჭაში – “ოქროს ხვანჭკარა” და სხვ.

დაიწყო ურთიერთობა საგარეო ბაზრებთან. პირველად ქვეყანაში შეიქმნა დარგის მართვის სამართლებრივი საფუძველი – საქართველოს კანონი ვახისა და ღვინის შესახებ (1998 წ.), შესწორებები განხორციელდა 2002 და 2010 წლებში. დამუშავდა დარგის რეაბილიტაციის პროექტი.

უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება უმაღლესი ხარისხის მშრალი (თეთრი და წითელი), ბუნებრივად მოტკბო, ქართული ცქრიალა ღვინოების წარმოებისათვის სანედლეულო ბაზის განვითარება, ძირითადად ქართული აბორიგენული, უნიკალური ჯიშების ბაზაზე, რომლის შევსება განხორციელდება წინასწარ აპრობირებული და რეკომენდირებული ჯიშების გამოყენებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შიდა დარგობრივ პრიორიტეტთა შორის პრიორიტეტად კვლავ რჩება ბიოლოგიურად ჯანსაღი (ვირუსისაგან თავისუფალი) სელექციურად სუფთა, უმაღლესი კატეგორიის სერთიფიცირებული სარგავი მასალის (ნერვის) წარმოების მყარი ბაზის შექმნა.

ვაზისა და ხეხილის ჯანსაღი, სერთიფიცირებული ვაზის ნერვის წარმოების საბაზისო სანერგე უკვე შექმნილია და ფუნქციონირებს მცხეთის რაიონის სოფლ ჯილაურაში, 55.0 ჰა ფართობზე; ახლა პროგრამაში მისი გაფართოება მხარეების მიხედვით და ამავე კატეგორიის სამრეწველო სარგავი მასალის წარმოების ბაზის შექმნა.

საქართველოს მევენახეობაში მკრთალად არის წარმოდგენილი სუფრის ყურძნის წარმოების სფერო. მას მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების დანიშნულება აქვს მინიჭებული, რაც გაუმართლებელია. საჭიროა: შეიქმნას სუფრის ყურძნის წარმოების გაფართოების ჯიშობრივი ბაზა, ცოცხალი სახით (მცენარეიდან) ხანგრძლივ სეზონზე მოხმარების გათვალისწინებით (კონვეირული სისტემა); ამადლდეს სასუფრე და საქიშიში ყურძნის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების კულტურა; შემუშავდეს ქვეყანაში სუფრის ყურძნის წარმოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა ექსპორტის გათვალისწინებით.

21-ე საუკუნეში ქართული მეღვინეობის უმთავრესი პრიორიტეტია წარმოშობის ადგილის დასახელების, კონტროლის დაქვემდებარებული ღვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის გაფართოება და მოწყობა.

ამჟამად რეგისტრირებულია საერთაშორისო რეესტრში 18 დასახელების ღვინო; რეზერვი კვლავ დიდია და იგი რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

2004 წლის აღწერის მასალების მიხედვით საქართველოში აღრიცხულია 37.5 ათასი ჰექტარი ვენახი; იქვე მინიშნებულია ტერიტორიები, რომელთა ვენახებიც არ შესულა აღრიცხვაში, სადაც შესაძლებელია 7-10 ათასი ჰა ვენახის არსებობა, რომლის გათვალისწინებით დღეისათვის ოფიციალურ წყაროებში საქართველოში 45.0 ათასი ჰექტარი ვენახის არსებობაზე მიუთითებენ, რაც დაახლოებით XX საუკუნის 30-იანი წლების მაჩვენებელს უტოლდება და თითქმის ნახევარია 1875 წლის მაჩვენებლებისა (75.0 ათასი ჰა).

ქვეყანაში მხარეების მიხედვით კახეთი ყოველთვის იყო ფლაგმანი და ასეა ახლაც; მთელი ფართობის 68% ანუ 32 823 ჰექტარი მოდის კახეთზე; ქართლში – 4177 ჰა (9%); იმერეთში – 18% ე.ი. 8584 ჰა; რაჭა-ლეჩხუმში – 1348 ჰა (3%); გურია – 268.0 ჰა (1%); სამეგრელო – 775.0 ჰა (2%), აჭარა – 42.0 ჰა. სულ საქართველოში 48 017 ჰა ვენახს ვარაუდობენ. მევენახეობა – მეღვინეობის უძველეს მხარეში მესხეთში სადღეისოდ ვენახის ფართობი 7.0 ჰა-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ აღწერის მასალები არ არის სრულყოფილი. იგი ვერ ასახავს ვენახების აგროტექნოლოგიურ და ბიოლოგიურ ფონს, ჯიშურ შედგენილობას, ვენახების კატეგორიებს, ნამყენი, საკუთარ ფესვებზე, გაშენების სქემებს და საერთოდ მთელ სტრუქტურას, რაც აუცილებელია ქვეყანაში დარგის განვითარების პერსპექტიული

პროგრამების შესამუშავებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე გადაუდებელია ვენახების (სხვა სას. სამ. კულტურების) სრულყოფილი აღწერა – ინვენტარიზაცია – პასპორტიზაცია.

ხანგრძლივი კვლევებისა და შესწავლის საფუძველზე მევენახეობის ზონების და მხარეების მიხედვით შედგენილია სამრეწველო ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი, რომლის განახლება, შევსება, გაუმჯობესება მუდმივი პროცესია და იგი გაგრძელდება.

სამრეწველო ასორტიმენტი ძირითადად შედგენილია ადგილობრივი, აბორიგენული, საუკეთესო, მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშების გამოყენებით; აგრეთვე გამოყენებულია ამავე პრინციპით შერჩეული უცხოური, ინტროდუცირებული ვაზის ჯიშები (10-მდე ჯიში); მ.შ. სუფრის ყურძნის ჯიშები.

**სამრეწველო ვაზის ჯიშები (ჰა-ბით):**

რქაწითელი 19741, საფერავი 3704, მწვანე კახური 249, ქისი 20, ხიხვი 5, კაბერნე სოვინიონი 223, გორული მწვანე 224, ჩინური 955, თავკვერი 29, ალიგოტე 97, პინო თეთრი 171, ციცქა 2839, ცოლიკოური 6161, კრახუნა 36, ოცხანური საფერე 5, წულუკიძის თეთრი 152, ალექსანდროული მუჯურეთული 219, უსახელოური 8, ოჯალეში 25, ჩხავერი 20, ალადასტური 46.

სამწუხაროდ, საქართველოს ვენახების ჯიშობრივი შედგენილობის სრულყოფილი და დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები არ გაგვაჩნია; 2004 წელს მონაცემებიდან ჩანს, რომ თითქმის გაქრობის ზღვარზეა, სავალალო მდგომარეობაშია თავისი უნიკალურობით გამორჩეული ვაზის ჯიშები: ჩხავერის, ოჯალეშის, უსახელოურის, ოცხანური საფერეს, კრახუნას და სხვათა ფართობები, რომელთა აღდგენა-განვითარება სამთავრობო ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ქვეყანაში გახშირდა უცხოური ვაზის ჯიშების სამრეწველო დანიშნულებით შემოტანა-გავრცელება წინასწარი აპრობაციის, შემოწმების გარეშე, რამაც სასურველი შედეგი არ მოგვცა; მაგ: შატო მუხრანში იტალიელი კონსულტანტის ინიციატივით საუკუნის დასაწყისში შემოტანილი იქნა უცნობი ვაზის ჯიში. “ნერო დე ოლა”, რომელიც 4-5 წლის შემდეგ ამოსაძირკვი გახდა და ამოიძირკვა კიდევ; ასევე, მეცნიერული რეკომენდაციის გარეშე კაბერნე სოვინიონი აღმოჩნდა თერჯოლის რაიონში, შეუფერებელი ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში. გასულ წელს 5 წლის ვენახი ამოიძირკვა; სხვა მაგალითებიც ბევრია, რომლებიც რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს და სათანადო წესრიგი უნდა დამყარდეს ამ სფეროშიც.

ზემოთ აღინიშნა, რომ 21-ე საუკუნეში ქართული მეღვინეობის პრიორიტეტია ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების გაზრდა, რომლის შესაძლებლობაც ჩვენს ქვეყანას უხვად გააჩნია.

**მრგვალი მაგიდა მცენარეთა დაცვის საკითხებზე**

მიმდინარე წლის 19 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა „მცენარეთა დაცვის საკითხებზე“. მასში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, მცენარეთა დაცვის საშუალებების მწარმოებელი ფირმების წარმომადგენლებმა, პრაქტიკოსმა ფერმერებმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობას ხელმძღვანელობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. დარგში არსებულ სიტუაციაზე, ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებზე და სამომავლო პერსპექტივებზე მოხსენება გააკეთა აკადემიურმა დოქტორმა შაქრო ყანჩაველმა. მცენარეთა დაცვის პრევენციულ და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე ისაუბრა სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ ლიპარტიამ, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა კარანტინის სამმართველოს უფროსმა ოთარ სხვიტარიძემ. გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: არჩილ სუპატაშვილმა – სატყეო ინსტიტუტი; ზურაბ ლოლაძემ – კომპანია „SYNGENTA“-ს წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში; დავით კაკაშვილმა – სოფლის მეურნეობის სამინისტროს გორის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი; კარლო კიკორიამ – კომპანია „ბიოაგრო“; ავთანდილ მურვანიძემ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ლუიზა მიქაძემ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი; ლალი წივილაშვილმა – საქართველოს

აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; ესმა ორჯონიკიძემ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; მზალო ლობჯანიძემ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი; თინათინ გოგიშვილმა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ნინო დათუკიშვილმა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ნოდარ მინდაშვილმა – აგრო განვითარების ჯგუფი; ლია რეხვიაშვილმა – ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ლაბორატორიის გამგე; გიორგი ბარისაშვილმა – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“.

ასეთი შეხვედრების მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე ყურადღება გამახვილა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან მიმართა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს წარმოდგინონ თავიანთი ხედვები მცენარეთა დაცვის დარგში განსახორციელებელი სამომავლო ღონისძიებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც შემუშავებული იქნება შესაბამისი რეკომენდაციები.

**ბულგარეთის საერთაშორისო კონფერენცია**

2013 წლის 20-21 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე ”მანქანები სოფლის მეურნეობაში“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, რომელიც გაყოფილი იყო ორ სექციად: 1. მანქანები სოფლის მეურნეობაში. გამოკვლევა და გამოცდა. ახალი ტექნოლოგიები; 2. მანქანების გამოყენება. სერვისი. ეკოლოგია;

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის 88-ზე მეტი მეცნიერი გერმანიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან და ასევე ირანიდან.

წინასწარ შედგენილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში საქართველოდან წარმოდგენილი იყო აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე . საორგანიზაციო კომიტეტი აწარმოებდა წარმოდგენილი მოხსენებების მკაცრ შერჩევას, რომლის დროსაც აუცილებელი კრიტერიუმები იყო თემის აქტუალურობა, მისი ინოვაციურობა და მეცნიერული დონე. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი 47 მოხსენებიდან საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო

მხოლოდ 33.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მიხო მიხოვმა. ის მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ასეთი სახის სამეცნიერო ფორუმები ხელს უწყობენ სხვადა-სხვა ქვეყნების მეცნიერების დაახლოებას, გამოცდილებების გაზიარებას და ინოვაციური ტექნოლოგიების გაცნობას სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში, რომელიც წამოადგენს საწარმოო პროცესების ინტენ-სიფიკაციის ყველაზე რეალურ მიმართულებას.

კონფერენციას მიესალმენ და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს: მიროსლავ ნაიდენოვი-ბულგარეთის მიწადმოქმედებისა და კვების მინისტრი;

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პოპოვი-ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური კავშირის თავჯდომარე; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანჟეი ჩიშევსკი პოლონეთის ინჟინერ-მექანიკოსთა კავშირის პრეზიდენტი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქრისტო ბელოევი, ქალაქ რუსეს ანგელ კინჩევის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი;

აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე ხელმძღვანელობდა „მანქანების გამოყენება. სერვისი. ეკოლოგია“ სექციის მუშაობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მეცნიერების მოხსენებები, რომლებიც გამოირჩეოდნენ პრობლემის აქტუალურობით და კვლევის ორიგინალობით: დოქტორი დ. ერლეტი (პოტსდამის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი, გერმანია) ლაზერული სკანერის გამოყენება მემცენარეობაში;

ტექნ.მეცნ.დოქტორი, პროფ. მიხო მიხოვი (ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია) მანქანების ტექნიკური მომსახურების ოპტიმიზაცია; პროფ. ი. შჩეპანიაკი (პოზნანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამრეწველო ინსტიტუტი, პოლონეთი) -ტრაქტორის ოპერატორზე მოქმედი დინამიკური ძალების პროგნოზირება; აკად. ს. ნიკოშვილი (ყაზახეთის აგროტექნიკური უნივერსიტეტი, ასტანა) -ნიადაგის ქვეშ მინერალური სასუქების შეტანის მექანიზაცია; პროფ. ვ. ბოიკოვი (სარატოვის აგრარული უნივერსიტეტი, რუსეთი)-ნიადაგის ძირითადი დამუშავების რესურსდამზოგი ტექნოლოგიები; ტექნ.მეცნ.დოქტორი ნ. ივანოვი (რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ს.მ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ნოვოსი-

ბირსკი)- მიწადმოქმედებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუშა უნარიანობის უზრუნველყოფის პრობლემები; პროფ. ვ.კუირჩევი (ზაპოროჟიეს აგროტექნოლოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა)-კომბინირებული მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების გამოყენების პერსპექტივები; დოც. ა. ტრიფონოვი (პლოვდივის აგრარული უნივერსიტეტი, ბულგარეთი)-კომბაინ New Holland-ის მუშაობის მაჩვენებლები ბულგარეთის პირობებისათვის; ტექ.მეცნ. დოქტორი, პროფესორი ი. ბლინსკი (ნოვოსიბირსკის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, რუსეთი);

აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის მოხსენება შეეხებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაცვეთილი დეტალების აღდგენის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავებას საიმედოობის გაზრდის მიზნით.

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ის მოწყობილობები, დანადგარები და სამარჯვები, რომლებიც ჩვენს მიერ დამუშავებული, დამზადებული და გაცემული იქნა მანქანების საიმედოობისა და რესურსის გაზრდისათვის.

მოწყობილობათა უმრავლესობის ინოვაციურობა დაცულია მოპოვებული პატენტებითა და გამოგონებებზე საავტორო მოწმობებით.

წარმოდგელი იქნა ასევე ჩატარებული ექსპერიმენტული და თეორიული კვლევები ალბათურ-სტატისტიკური მოდელირების, ექსტრემალური ექსპერიმენტების დაგეგმვისა და მსგავსობითობის თეორიის მეთოდების გამოყენებით.

საბოლოოდ, ვიდეოს გამოყენებით ნაჩვენებ იქნა დამუშავებული ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენების პრაქტიკული მაგალითები, რამაც კონფერენციის მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

**მრგვალი მაგიდა**

**2013 წლის 26 ივლისს, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ს/კ ინსტიტუტში (ოზურგეთის რ-ნი, დაბა ანასეული) გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „სუბტროპიკული კულტურების დარგის განვითარების პრობლემები საქართველოში“.**

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩაისა და ციტრუსების მიმართულების ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ვ. ცანავა, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა მეციტრუსეობის მდგომარეობა და პერსპექტივები, მეცნიერების როლი ამ მიმართულებით; ისაუბრა ფერმერებთან მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლობაზე და დააყენა საკითხი, რომ მეციტრუსეობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროსტანდარტებს.  
დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერ-

თანამშრომლებმა: ა. ნიკოლაიშვილმა, ვ. გოლიაძემ, ი. მამულაშვილმა, ც. ქაშაკაშვილმა, ფერმერებმა: ა. ბოლქვაძემ, ო. ბარამიძემ, ბიზნესმენმა დ. სიხარულიძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის მოადგილემ გ. იობიშვილმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.  
მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ისაუბრეს ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც ხელს უშლის ფერმერებს ციტრუსების მოვლა-მოყვანა-გასაღებაში; გამოითქვა სურვილი, რომ საჭიროა მეცნიერების დიდი ძალისხმევა ამ

კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, უნდა გაიზარდოს მათი როლი ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში და ა.შ. უფრო უნდა გააქტიურდეს მუნიციპალიტეტის დახმარების ღონისძიებებიც, განსაკუთრებით საბანკო

საქმეში.

შეხვედრის მონაწილეების ერთსულოვანი აზრია მსგავსი შეხვედრების მოწყობა და კონკრეტულ საკითხებზე შედეგების დემონსტრირება.



მრგვალი მაგიდის მონაწილეები. სიტყვით გამოდის ეროვნული კოორდინატორი, აკადემიკოსი ვ. ცანავა

### საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების შესახებ

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და CARE საერთაშორისო კავკასიაში ორგანიზებით გაიმართა სემინარი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის წევრები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და CARE საერთაშორისო კავკასიაში წარმომადგენლები, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა. სემინარის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები:

**1. საქართველოს მეცხოველეობის ( მრპ) განვითარების სტრატეგია.**

მომხ. პროფ. ლევან თორთლაძე;

**2. თბილისის რძით მომარაგების გეგმა;**

მომხ. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

**3. მეცხოველეობის სექტორში საკრედიტო პოლიტიკის შესახებ;**

მომხ. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

**4. სამომშენებლო საქმე**

მომხ. პროფ. როლანდ მიტიჩაშვილი;

**5. ხელოვნური განაყოფიერება**

მომხ. აკად. დოქტ. გიორგი ხატიაშვილი;

**6. საკვებწარმოება**

მომხ. აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე;

**აღნიშნულ საკითხებზე გაიმართა დისკუსია. მასში მონაწილეობა მიიღეს:** საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსმა ივერი ახალბედაშვილმა, აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა, აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა, აკადემიკოსმა გოგოთურ აგლაძემ, პროფ. გივი ბასილაძემ, აკად. დოქტ. ელიოზ ხაჭაპურიძემ, ნოდარ ხონაშვილმა, შოთა გონგლაძემ(სოფლის მეურნეობის სამინისტრო), აკად. დოქტ. დავით ცომიაძემ, ბუბა ჯაფარიძემ და გიორგი დლონტმა (CARE საერთაშორისო კავკასიაში).

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა.

### საქართველოს მეცხოველეობის განვითარების სტრატეგია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 11 სექტემბერს გაიმართა სხდომა მეცხოველეობის დარგის თვალსაჩინო მეცნიერების მონაწილეობით, რომელზეც განხილული იქნა "საქართველოს მეცხოველეობის განვითარების სტრატეგია."

შეხვედრის ორგანიზატორი და ინიციატორი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება - აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აღინიშნა, რომ სტრატეგიაზე მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს და შესაბამისი განხილვების შემდეგ მან მიიღო საბოლოო სახე. სტრატეგიის მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა. მისი შექმნის აუცილებლობაზე ყურადღება გაამახვილა აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ. ამის შემდეგ სტრატეგიის შექმნაში მონაწილე მეცნიერებს საშუალება მიეცათ თითოეულს წარმოედგინა თავისი დარგი.

- შესავალი ; მეცხოველეობის სექტორის მნიშვნელობა** - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;
- მემროხეობა** - პროფ. ლევან თორთლაძე;
- სანაშენე საქმე** - პროფ. როლანდ მიტიჩაშვილი;
- ხელოვნური განყოფიერება** - აკად. დოქტორი გიორგი ხატიაშვილი;

- მეცხვარეობა** - აკად. დოქტორი გივი ბედელური;
  - მელორეობა** - მეცნ. დოქტორი გიორგი ბოჭორიშვილი;
  - მეფრინველეობა** - აკად. დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი; აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე;
  - მებოცვრეობა** - აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი;
  - მეცხენეობა** - მეცნ. დოქტორი ანზორ ჩუბინიძე;
  - მეფუტკრეობა** - მეცნ. დოქტორი გიორგი მამდარაშვილი;
  - ვეტერინარია** - აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი;
  - საკვებწარმოება** - აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე, პროფ. სოსო სარჯველაძე;
  - ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები** - პროფ. გიული გოგოლი;
  - რძის გადამამუშავება** - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;
  - სასოფლო-სამეურნეო განათლება** - მეცნ. დოქტორი გივი ბასილაძე;
- შეხვედრა შეაჯამა აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა და აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ. გამოითქვა მოსაზრება სტრატეგიის ფართო განხილვისა აკადემიის წევრების, მთავრობისა და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით.

### ინფორმაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ჟურნალ "ახალი აგრარული საქართველოს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მიმოხილვის შესახებ.

2013 წლის 06 აგვისტოს ხელი მოეწერა მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ჟურნალს "ახალი აგრარული საქართველოს" შორის.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ და ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა შოთა მაჭარაშვილმა.

აკადემიასა და ჟურნალ "ახალი აგრარულ საქართველოს"-ს შორის თანამშრომლობა დაეფუძნება მეცნიერების, განათლების და ჟურნალისტიკის სისტემის ურთიერთ საინტერესო სფეროებს. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება საერთო ინტერესებისა და თანაბარი ურთიერთობის საფუძველზე.

აკადემიამ და ჟურნალის რედაქციამ შეთანხმების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყონ აგრარული სფეროს პრობლემებზე ინფორმაც-

ციის შეგროვებას და შეთანხმების შემთხვევაში მათ გამოქვეყნებას; ისინი ვალდებული არ არიან ჩაატარონ შეხვედრები, სემინარები, მრგვალი მაგიდა და კონფერენციები აგრარული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებზე; გაატარონ ღონისძიებები შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში თანამშრომლობის და კომპეტენტური მასალების მოპოვების საქმეში; შეიმუშაონ ერთობლივი ღონისძიებები ახალგაზრდა ფერმერებთან

და მენეჯერთა მომზადებისათვის; შეიმუშაონ ღონისძიებები ურთიერთსაინტერესო პროექტების და პროგრამების მომზადებისათვის და მიიღონ ერთობლივი მონაწილეობა მათ შესრულებაში;

ორივე მხარე ვალდებულია იღებს ხელი შეუწყონ აგრარულ სფეროში პროექტებისა და პროგრამების რეკლამირებას და შემდგომში მათი დანერგვის საკითხების მიმდინარეობას.



**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელს აწერენ სსმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე და ჟურნალის “ახალი აგრარული საქართველო” მთავარი რედაქტორი შოთა მაჭარაშვილი.**

### საერთაშორისო ექსპედიციები

მიმდინარე წლის აგვისტო – სექტემბერში საქართველოში ჩატარდა ორი საერთაშორისო ექსპედიცია მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესწავლის საკითხებზე.

ექსპედიციები ჩატარდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით. პირველ ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის ვავილოვის სახელობის მემცენარეობის ინსტიტუტის ორმა სპეციალისტმა, პოლანდიის მცენარეთა სელექციის ფირმის “რიკ ზვანის” ორმა მეცნიერმა და საქართველოს ეკოლოგიის ინსტიტუტის ორმა სპეციალისტმა. ექსპედიციის ჯგუფის წევრებმა შეაგროვეს 400-ზე მეტი სალათის და ისპანახის ნიმუშები, რომლებიც ინახება პოლანდიის, რუსეთის და საქართველოს გენბანკებში.

მეორე ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის ვავილოვის სახელობის მემცენარეობის ინსტიტუტის ორმა სპეციალისტმა, სამხრეთ კორეის აგრობიომრავალფეროვნების ერთმა მეცნიერმა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთმა მეცნიერმა. ჯგუფის მიერ შეგროვილი იქნა ბოსტნეული და ხეხილოვანი კულტურების 147 ნიმუში, რომლებიც ასევე ინახება ამ ქვეყნების გენბანკებში.



მასპაღიციის მონაწილე კოლანდიელი, ქართველი, რუსი და ჩინი მეცნიერები

მესამე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 13 საკითხი, მათ შორის: სსმმ აკადემიას, საქართველოს სავაჭრო პალატასა და პროფესიული განვითარების ფონდს შორის მემორანდუმის შემუშავებული კომისიის შესახებ (მომხს.აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე);

ინფორმაცია უმაღლესი განათლების და მეცნიერების რეფორმის კონცეფციასთან დაკავშირებით შემუშავებული მოსაზრებებისა და წინადადებების შესახებ (მომხს. აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე); ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის “ინოვაციები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის” მზადებასთან დაკავშირებით (მომხს. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე); მემორანდუმების მომზადების მიმდინარეობის შესახებ (მომხს. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე); აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების გამოსავლენი საექსპერტო-საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (მომხს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე) და სხვა.

აკადემიურ საბჭოს სხდომაზე ასევე იხილებოდა არაგვემიური, მიმდინარე საკითხები. განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის წერილობით ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, აკადემიური დოქტორი ანატოლი ვიორგაძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი გივი მოსაშვილი

“აკადემიის მაცნე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო უფროსალ “მოამბის” დამატება. "News of Academy" - addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.